თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმამათლებლო პროგრამა
საკითხები გასაუბრებისთვის

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა:

- საქართველოს უსაფრთხოების გარემო, ეროვნული ღირებულებები და ინტერესები;
- საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები;
- საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;
- საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება;
- საერთაშორისო პარტნიორობა და მისი როლი.

2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესი:

- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი;
- უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმები;
- პრაქტიკული გამოწვევები კოორდინაციის პროცესში.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და თავდაცვის ძალები:

- თავდაცვის სამინისტროს ფუნქციები;
- თავდაცვის ძალების ძირითადი ამოცანები;
- თავდაცვის ძალების სახეობები;
- თავდაცვის მინისტრის და თავდაცვის ძალების მეთაურის როლი;
- რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის მნიშვნელობა.

4. ჰიბრიდული ომის საფუძვლები:

- ჰიბრიდული ომის განმარტება და არსი;
- ჰიბრიდული ომის მთავარი ინსტრუმენტები;
- საინფორმაციო ოპერაციების გავლენა საზოგადოებაზე;
- ჰიბრიდული საფრთხეების გამოვლენისა და პრევენციის სირთულეები.

კანდიდატი წარმოდგენილი თემებიდან პირადი სურვილით ირჩევს **2 თემას განსახილველად,** თითოეული თემა მოცემული ქვესაკითხებით შეფასდება **მაქსიმუმ 4 ქულით, სულ 8 ქულა.** კანდიდატი დადებითად შეფასდება **მინიმუმ 4 ქულის** მიღების შემთხვევაში (თითოეული თემაში მინიმუმ 2 ქულის მიღების შემთხვევაში).

კანდიდატის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

4 ქულა: პასუხი სრულია; აქცენტები სწორად არის დასმული. კანდიდატი ზედმიწევნით ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

3 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ მცირეოდენი ხარვეზებით; არსებითი შეცდომა არ არის; კანდიდატი კარგად ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

2 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი გადმოცემულია დამაკმაყოფილებლად; კანდიდატი ფლობს საკითხს, მაგრამ აღინიშნება შეცდომები.

1 ქულა: პასუხი არასრულია; კანდიდატს აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა და უჭირს არჩეული საკითხზე პასუხის გაცემა.

0 ქულა: პასუხი არ არის საკითხის შესაბამისი ან საერთოდ არაა მოცემული.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf ;
2. „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/ka/document/download/2764463/16/ge/pdf ;
3. საქართველოს კანონი „თავდაცვის კოდექსი“ https://matsne.gov.ge/document/view/5916285?publication=8 ;
4. გიორგი ანთაძე. ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის https://www.geocase.ge/media/223/Hybrid-War_G.-Antadze.pdf ;